ПРОЛЕТАРЕБО ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲦᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 135 (19876) ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲛᲝᲛᲭᲘᲠᲜᲔᲝᲑᲘᲗ

ᲓᲘᲓᲘ ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის თავდადებით შრომობს „ჭიათურმანგანუმის“ ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს კოლექტივი. აქ უკვე ტრადიციად დამკვიდრდა რიტმული მუშაობა. ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით ვადამდე, დიდი გადაჭარბებით შესრულდა მაისისა და ხუთი თვის გეგმა-ვალდებულებები.

წლის დასაწყისიდან საწარმოს მშრომელებმა პროდუქციის გამოშვების გეგმა 110, ვალდებულება 108, ხოლო შრომის ნაყოფიერების გეგმა 115 პროცენტით შეასრულეს.

საწარმოში დაჩქარებით ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. მთელი ძალით ამოქმედდა საწარმოო სიმძლავრეები. შარშან აქ შეიმუშავეს და წარმოებაში დანერგეს სამთამადნო და მეტალურგიული მოწყობილობის დეტალების შედუღებით აღდგენისათვის განკუთვნილი სპეციალიზებული მასალები.

დაინერგა და მოქმედებს ლითონნების პლაზმური ჭრის აგრეგატი, რომელმაც მკვეთრად შეამცირა სატრანსპორტო ხარჯები, ლითონნების დანაკარგები. მეურნეობის ყაირათიანი გამოღოლისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეწინავეობენ მალალი ძაბვის ქსელების, ექსკავატორების შემკეთებელი, საჩამომსხმელო, ელექტრო, სპეციალურ-სამაგრო გზების შემკეთებელი და მექანიკური საამქროები, რომლებსაც ვ. ციცვიძე, ს. შეულაშვილი, პ. ტეფნაძე, ფ. ძინძიბაძე, რ. ცერცვაძე და ბ. თოდაძე ხელმძღვანელობენ.

სახელოსნოს კოლექტივი 100-ზე მეტი დასახელების პროდუქციას უგზავნის შემკვეთ ორგანიზაციებს. სახელმეკრულებო ვალდებულებებს სრულყოფილად და დროულად ასრულებენ. აქ დამზადებული პროდუქცია მრავალი მისამართით იგზავნება.

მოსწონს მომხმარებელს ნარჩენებისაგან დამზადებული ფართო მოხმარების საგნები. სავაჭრო ობიექტების აწრაფსარეალიზაციო საქონლის ნუსხაში კარგა ხანია დაიმკვიდრა ადგილი ბაღჩისა და ეზოს ჭიშკრებმა, სეკციურმა ოობეებმა, წყლის რეზერვუარებმა, ბაღის სკამებმა და სხვა სახეობის საქონელმა.

ს. ᲙᲣᲞᲐᲢᲐᲫᲔ.

ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲐ

ᲩᲕᲔᲜ შეიძლება მალე უნდა შეიქმნას თანამედროვე მომსახურების სფერო, აღინიშნა სკკპ XXVII ყრილობაზე. ეს ცენტრალური ორგანიზაციების ამოცანაა, მაგრამ არანაკლებ, და შეიძლება შეტადაც, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ორგანოს ამოცანაც არის. უნდა განვახორციელოთ გადამწყვეტი ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრას მკვეთრი დისპროპორცია მომსახურებაზე მოთხოვნასა და მის გაწევას შორის.

ეს აზრი გასდევდა წითელ ზოლად სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ამასწინათ გამართულ თათბირსაც, რომელშაც განხილა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანები სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და მომსახურების სფეროს განვითარების საკმეში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეზერვები მოსახლეობის ფასიანი მომსახურების მოცულობის გასადიდებლად, აღნიშნა ი. კ. ლიგაჩოვმა თავის გამოსვლაში ივნისის დამდეგს გამართულ რესპუბლიკის პარტიულ საბჭოთა, სამეურნეო აქტივის თათბირზე. აქ საჭიროა სხვადასხვა მიდგომა, სხვა მასშტაბები, ზრდის გაცილებით სწრაფი ტემპი;

მოსახლეობის მომსახურების სფერო — ეს არის უდიდესი ასპარეზი, რომელზეც ჩვენ მეტი ღონე გვმართებს, — ითქვა ზემოხსენებულ თათბირზე. მომსახურების სფერო, მისი ფართო თვალსაზრისით, სულ უფრო მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს საბჭოთა ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში, განსაკუთრებით ურთიერთობის ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრაში. პარტიის საპროგრამო დოკუმენტებში დასახულია ამოცანა მოკლე ვადაში შეექმნათ თანამედროვე დიდად განვითარებული მომსახურების სფერო. მაგრამ ბევრი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო, უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელები კვლავინდებურად ჯეროვნად არ აფასებენ ამ სფეროს დაჩქარებული განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ მნიშვნელობას. დროა, ბოლოს და ბოლოს, ყველამ ნათლად შეიგნოს, რომ მოსახლეობის მომსახურების სწრაფი განვითარება ცხოვრებისეული აუცილებლობაა. ამ თვალსაზრისით უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ხალხის მოთხოვნილების სულ უფრო სრულ დაკმაყოფილებას მომსახურებით, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის კულტურულ, ფიზიკურ სრულყოფას, მისი ჯანმრთელობის გაკაჟებას. ხაზი გაესვა იმას, რომ პარტიის სოციალური პოლიტიკის ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე გარდაქმნა ძალზე ნელა მიმდინარეობს.

ცხადია, ყველაფერი ეს სრულიად და სავსებით ეხება ჩვენს რესპუბლიკასაც. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა თავის მოხსენებაში გააკრიტიკა ამ დარგში არსებული დიდი ნაკლოვანებები. მაგალითად, აღნიშნა, რომ მეურნეობრიობის ახალ პირობებში მომუშავე რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროში ყველაფერი ძველებურად გრძელდება. ნელინდზე მეტი ხნის განმავლობაში სისტემაში ერთი სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადაც კი არ არის, აუთვისებელია მატერიალური სტიმულირების ფონდის სოლიდური თანხა, ხელმეშვეობისა და უკონტროლობის შედეგად აქ განაწილების სულ სხვადასხვა მეთოდებია ფეხმოკიდებული, დარეს აკლია კვალიფიციური, ახალგაზრდა სპეციალისტები.

მომსახურება გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი, ერთ-ერთი წამყვანი სფეროა და ამიტომ ეს საკითხი ყველას ეხება. იმ სამინისტროდან, უწყებიდან, საწარმოდან და ორგანიზაციიდან, რომელსაც ამ მხრივ კონკრეტული ამოცანები აქვთ გადასაწყვეტი, მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმა ვერ შესრულა 54-მა, საყოფაცხოვრებო მომსახურების იანვარ-მაისის გეგმები ვერ შესრულეს ცხინვალის მომინანქრებული სადენების ქარხანამ, „თბილისგვირაბმშენმა“, თბილისის „ჩარხმშენებელის“ საწარმოო გაერთიანებამ, თბილისის „ინსტრუმენტის“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ, რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ, მადნეულის სამთო-მამდიდრებელმა კომბინატმა, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებამ, სოხუმის გაზის აპარატურის ქარხანამ, „ანალიზხელსაწყოს“ საწარმოო გაერთიანებამ, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, „ელვას“ სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებამ.

განა შეიძლება თვითდინებაზე იყოს მიტოვებული საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხები, ვთქვათ, „საქპიდროენერგომშენში“, ან ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებაში, ნებისმიერ დიდ საწარმოში? როგორ, ამ მიმართულებით გეგმის შეუსრულებლობა არ ახდენს ზეგავლენას საერთო საწარმოო დავალებების შესრულებაზე? უთუოდ ახდენს.

არავის არ ეძლევა მარტო საწარმოო გეგმები, ყველასთვის არსებობს ეკონომიკურ-სოციალური განვითარების ხუთწლიანი გეგმები და ისინი პარალელურად, ერთდროულად უნდა სრულდებოდეს, სხვანირად ფონს ვერ გავალთ. სწორედ ეკონომიკურ-სოციალური გეგმების ერთდროული, დაჩქარებული რეალიზაციისათვის ზრუნვით არის განპირობებული, მაგალითად, „საქსამთოქიმმრეწვის“ და „საქქაღალდმრეწვის“ საწარმოო გაერთიანებების საუკეთესო სტაბილური შედეგები. მათმა ხელმძღვანელებმა კარგად იციან, რომ ეკონომიკური და სოციალური საკითხების ერთმანეთისაგან ოდნავი დაშორებაც კი მავნეა, და არ თმობენ მოწინავე პოზიციებს, მათთვის ორივე საკითხი ერთ მუშტად შეკრული ცნებაა. ამიტომაც იყო, რომ ამ ორი გაერთიანების გენერალური დირექტორები ნ. ცხაკაია და ო. ფაღაცია ქებით მოიხსენიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე.

ახა, წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს მოწინავე საწარმოების ფონზე ისეთები, რომლებიც აბსოლუტურად, დიახ, აბსოლუტურად უგულებელყოფენ მომსახურებას. ერთი მანეთის საყოფაცხოვრებო მომსახურებაც კი არ გაუწევიათ მშრომელებისთვის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებას, „საქელექტრომანქანის“, „ეკრანის“ საწარმოო გაერთიანებებსა და ზოგიერთ სხვა საწარმოს.

მომსახურების დაბალი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე სასაგრომრეწვო, „საქმთავარმონტაჟსპეცმშენს“, სხვა ორგანიზაციებს. ზემოჩამოთვლილმა სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა სახელმწიფოს დააკლეს 2182,7 ათასი მანეთი. მართალია ისიც, რომ მომსახურების დავალებების შეუსრულებლობით მიყენებულ ზარალს მარტო ფულით ვერ განსაზღვრავ. საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება დაკავშირებულია პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, მორალურ, ეთიკურ, თუ ვნებავთ, ესთეტიკურ ასპექტებთან და ამაზე თვალი არავინ არ უნდა დახუჭოს. მომსახურების გეგმების შეუსრულებლობა უნდა გახდეს პარტიული მსჯელობის საგანი, მკაცრად უნდა მოეკითხოთ იმ ხელმძღვანელებს, რომლებსაც თვითდინებაზე აქვთ მიტოვებული იგი.

საერთოდ მოსახლეობის ფასიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების ხუთი თვის გეგმა რესპუბლიკაში 98,8 პროცენტით შესრულდა, მისგან ხვედრითმა წილმა მომსახურების საერთო მოცულობაში 81,4 პროცენტი შეადგინა.

სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ ხუთი თვის გეგმა მთლიანად გადაჭარბებითაც კი შეასრულა, მაგრამ დავალებას თავი ვერ გაართვა დარგის 24-მა საწარმომ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული ზემოხსენებული თათბირის დასასრულს ითქვა, რომ უნდა განვაგრძოთ აღძრული პრობლემების განხილვა ადგილებზე, პარტიულ კომიტეტებში, პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე, სასალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სხდომებსა და სესიებზე, აგრეთვე უწყება-სამინისტროთა კოლეგიებზე, შრომითს კოლექტივებში. საჭიროა დავაინტერესოთ ყოველი კონკრეტული შრომელი, თითოეული კოლექტივი იმით, რომ უსათუოდ შესრულონ საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების დავალებანი. ხელი შევუწყოთ ბიუროკრატიული ზღუდეების მოშლას, გავაუქმოთ მოძველებული ინსტრუქციები, ყოველად უაზრო სტანდარტები, რომლებიც პირდაპირ ხელ-ფეხს უბორკავს თაოსან მუშაკებს.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ

Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ, ᲡᲐᲑᲭᲠᲗᲔᲗᲘᲡ, ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ, ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ, ᲢᲐᲜᲖᲐᲜᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ

ᲓᲘᲓᲘ ინტერესით გავეცანი ექვსი სახელმწიფოს ლიდერთა 1987 წლის 22 მაისის ერთობლივ განცხადებას. მთლიანად ვიზიარებ მასში გამოთქმულ მგზნებარე მოწოდებას დაიწყოს, ბოლოს და ბოლოს, ბირთვული განიარაღების პროცესი, ამით საფუძველი ჩაეყაროს უთორო უსაფრთხო მშვიდობას, რათა გადავარჩინოთ მომავალი თაობები ბირთვული კატასტროფის კოშმარისაგან.

ეჭვს არ იწვევს, რომ თუ იქნება პოლიტიკური ნება, შეიძლება მივაღწიოთ შორს გამიზნულ შეთანხმებებს ბირთვული განიარაღების დარგში. საბჭოთა კავშირმა თავისი პრაქტიკული საქმეებითა და მასშტაბური ინიციატივებით დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ასეთი ნება მას აქვს. და, უნდა ითქვას, ყველაზე კონკრეტულად და მჭერმეტყველურად ეს ვლინდება საშუალო სიშორის რაკეტების პრობლემისადმი სსრ კავშირის მიდგომაში.

ამას, აგრეთვე ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების თაობაზეც ჩვენს ამასწინანდელ წინადადებებს, რომლებშიც მაქსიმალურად არის გათვალისწინებული შეერთებული შტატებისა და მისი დასავლეთევროპელი მოკავშირეების სურვილები და ინტერესები, თითქოს, უნდა მოეხსნა ყველა დაბრკოლება და საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ მოლაპარაკება ფინეთის სწორზე გაეყვანა. მაგრამ იმ ნერვულობამ, რომლითაც ზოგიერთებმა დასავლეთში აღიქვეს საშუალო სიშორის რაკეტების თაობაზე მორიგების მიღწევის რეალურად წარმოქმნილი პერსპექტივა, წარმოშვა სერიოზული ეჭვი დასავლეთ ევროპის იმ ზოგიერთი მთავრობის წინანდელ აღთქმათა გულწრფელობაში, რომ ისინი დაინტერესებული არიან ევროპის ზონაში საშუალო სიშორის საბჭოთა და ამერიკული რაკეტების სრული ლიკვიდაციით.

მაგრამ ჩვენ მაინც არ ვკარგავთ იმედს, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს და რომ აღნიშნული პერსპექტივა რეალობა გახდება. ამით პირველადი ბირთვული შეიარაღების ეაჩენის შემდეგ გადაიდგმებოდა ძნელი, მაგრამ კაცობრიობისთვის ერთადერთი გონივრული, უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბირთვული იარაღის სრული და ყოველმხრივი ლიკვიდაციის გზაზე.

საბჭოთა კავშირი არ დაიშურებს ძალ-ღონეს, თოღონდ მოკლე ხანში შემუშავდეს და დაიდოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება საშუალო სიშორის რაკეტების შესახებ რეიკიავიკში მიღწეული პრინციპული მორიგების საფუძველზე. სწორედ ასეთი ამოცანა აქვს დასახული სსრ კავშირის დელეგაციას ჟენევაში ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე. სამი ახლა ჩვენს პარტნიორებზეა დამოკიდებული, რომლებისგანაც შემხვედრ ნაბიჯს ველით.

არაერთხელ მილაპარაკია საბჭოთა კავშირის იმ პოზიციაზე, რომ დაუშვებელია გამალებული შეიარაღების გავრცელება კოსმოსში, გამომთქვამს ჩვენი შეფასებანი ამერიკის „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ პროგრამის ხასიათის შესახებ, რომელიც მეტად საშიშია მშვიდობის საქმისათვის. აქ ჭეშმარიტება ერთია: კოსმოსურ სივრცეში იარაღის გატანას აუცილებლად მოჰყვება ურთიერთურთიერდობლობის ზრდა, დაჩქარებს გამალებულ შეიარაღებას და მსოფლიოს კიდევ უფრო უიმეოს გახდის.

ჩვენ გადაჭრით ვამბობთ „ვარსკვლავების ომების“ გეგმებს, მათ ეუპირისპირებთ ინიციატივებს კომპლექსს, რომელთა მიზანია ფართო თანამშრომლობის მოგვარება კოსმოსის მშვიდობიან კვლევასა და ათვისებაში მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირი ცდილობს დაარწმუნოს შეერთებული შტატები, რომ საჭიროა ყოველნაირად განმტკიცდეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების რეჟიმი, რომელიც სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების არსებითი შემცირების თაობაზე მორიგებების საფუძველთა საფუძველია. სრულიად ცხადი უნდა იყოს, რომ თუ სრული მოცულობით არ შევინარჩუნებთ ამ ხელშეკრულებას, ასეთი შემცირება შეუძლებელი იქნება.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეთანხმების ჩაფუშვა კოსმოსში იარაღის გატანის გზით, საჭიროდ მიგვაჩნია, სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იკისრონ ვალდებულება, რომ 10 წლის განმავლობაში არ გამოვლენ ხელშეკრულებიდან და ამასთან შეთანხმებენ კოსმოსური ბაზირების მოწყობილობათა ნუსხას, რომელთა გატანა კოსმოსში, მათ შორის გამოცდის მიზნით, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში აკრძალული იქნება.

ვფიქრობ, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა კარგად იცნობს ბირთვული გამოცდის საკითხზე ჩვენს პრინციპულ პოზიციასაც. ვიმეორებ იმას, რაც წინათაც მითქვამს, საბჭოთა კავშირის მიერ ცალმხრივი მორატორიუმის შეწყვეტა, რომელიც ჭელიწადნახევარზე მეტხანს გრძელდებოდა, იძულებითი, ჩვენთვის თავსმოხვეული გადაწყვეტილება იყო.

ჩვენ კვლავ და კვლავ ვთავაზობთ ამერიკის შეერთებულ შტატებს დავიწყოთ ფართო მასშტაბის მოლაპარაკება ბირთვული გამოცდის სრული შეწყვეტის შესახებ, რომელიც დაექვემდებარება მკაცრ საერთაშორისო კონტროლს, მათ შორის ადგილებზე ინსპექციას. ასეთი მოლაპარაკების დროს ამ მთავარი მიზნის მისაღწევად უწინარეს ყოვლისა უნდა განვიხილოთ ისეთი საკითხები, როგორიც არის საბჭოთა კავშირ-ამერიკის 1974 და 1976 წლების ხელშეკრულებათა რატიფიკაცია, ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ბირთვულ აფეთქებათა ქვედაზღვრული სიმძლავრეების არსებითი შემცირება და მათი რაოდენობის იმავდროული შეზღუდვა. აღნიშნულ ხელშეკრულებათა უსწრაფესი რატიფიკაციის ხელშეწყობის მიზნით სსრ კავშირი მზად არის მოურიგდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს ეროვნული ტექნიკური საშუალებებით ერთმანეთის პოლიგონებზე შესაბამისი საკალიბრებელი ექსპერიმენტების მოწყობის შესახებ. ჩვენ მომზრენი ვართ იმისა, რომ ასეთი ექსპერიმენტების მოწყობის დროს გამოვიყენოთ როგორც ორივე ქვეყნის ეროვნული სეისმური აპარატურა, ისე „ექვსეულის“ სახელმწიფოთა სეისმური კონტროლის საშუალებები, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამაზე დაგვთანხმდებიან. მზად ვართ აგრეთვე დაუყოვნებლივ გავნახორციელოთ პრაქტიკული ღონისძიებანი ამ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით: მივაღწიოთ, მაგალითად, შუალედურ მორიგებას ამერიკის მხარესთან იმის შესახებ, რომ შეიზღუდოს მიწისქვეშა ბირთვულ აფეთქებათა სიმძლავრე ერთ ტონნახი ქვედაზღვრით, ხოლო ბირთვული იარაღის გამოცდის რაოდენობა წელიწადში ორი — სამი გამოცდით.

ერთი სიტყვითი, საბჭოთა კავშირს არ აკლია კეთილი ნება. ჩვენ მზად ვართ ნებისმიერი კონსტრუქციული იდეებისათვის, რომლებიც მიზნად ისახავს რეალურ განიარაღებას.

ექვსი სახელმწიფოს ლიდერთა ერთობლივ განცხადებაში გამოთქმული კეთილშობილური მისწრაფებები, რომლებსაც გაგებით ვეკიდებით და აქტიურად ვუჭერთ მხარს, განგვიმტკიცებს რწმენას, რომ საბოლოოდ გაიმარჯვებს ადამიანის გონიერება, განგვაწყობს იმისათვის, რომ კიდევ უფრო ენერგიულად ვიმოქმედოთ ბირთვულ რსოფლიოზე ოცნების ახდენისათვის, დედამიწის ცივილიზაციის შენარჩუნებისათვის.

(ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ)

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲥᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ Ლ. Ე. ᲡᲐᲑᲣᲗᲐᲡᲗᲕᲘᲡ „ᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ“ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲛᲘᲔᲜᲘ᭢ᲝᲡ „გმირი დედის“ წოდება და გადაეცეს „გმირი დედის“ ორდენი ათი შვილის მშობელ და აღზრდელ დედას, ლიუნა ესტატეს ასულ საბუას — კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი.
1987 წლის 10 ივნისი.

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠ ᲕᲐᲮᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ. 9 ივნისი. (საგანგებო). გრძელდება იური რომანენკოსა და ალექსანდრე ლავეიკინის ხანგრძლივი კოსმოსური ფრენა.

„კვანტის“ მოდულში დადგმული ორბიტული საერთაშორისო ობსერვატორია „რენტგენის“ დახმარებით ასტროფიზიკური კვლევის პროგრამის შესაბამისად შესრულდა პირველი ექსპერიმენტი. დაკვირვების ობიექტად შეარჩიეს მაგელანის დიდ ღრუბლებში ზესახალეგი, რომელიც ამა წლის თებერვალში წარმოიქმნა.

კოსმონავტებმა დაიწყეს მზადება ღია კოსმოსურ სივრცეში გასასვლელად. ისინი ამოწმებენ გასასვლისათვის საჭირო მოწყობილობას, სკაფანდრებს. დღეს სამუშაო დღის დამლევს მოაწყობენ ეკიპაჟის სამედიცინო გამოკვლევას, რომლის მიზანია ფიზიკური ვარჯიშების შესრულების დროს კოსმონავტთა გულისა და სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობის შეფასება.

იური რომანენკო და ალექსანდრე ლავეიკინი თავს კარგად გრძნობენ.

„მირ“ ორბიტული სამეცნიერო-კვლევითი კომპლექსის ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲓᲐᲯᲘᲯᲑᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲡ რაიონის სოფელ გამარჯვების სასოფლო საბჭოს № 7 მრავალმანდატიანი საარჩევნო უბნის აგიტატორებს განსაკუთრებით ბევრი საქმე აქვთ. ნანა დავითაშვილი, ციცინო პოპიაშვილი, ნინო ნატროშვილი, დავით გოგაშვილი, თამარ სუხიტაშვილი, ლია გოგილაშვილი, დალი გონაშვილი და სხვები აქტიურ საგაგტაციო მუშაობას ეწევიან ამომრჩეველთა შორის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: პარტიის წითელწყაროს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე აკაკი ოზაშვილი ესაუბრება აგიტატორებს, რომლებიც აქედან მთელ უბანს მოეფინებიან.

Ვ. ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡ ფოტო.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲘᲓᲘ

ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ ᲥᲣᲗᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ

ᲒᲐᲪᲘᲡᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ მუშაობის დრო დაუდგათ საკვებმომპოვებლებს. ხშირმა წვიმებმა თივის, სენაჟის, სილოსის, ძირხვენების მოსავლის ზრდის, საფურაქე ბაზის შემდგომი განმტკიცების ხელშემწყობი პირობები შექმნა. ამ შესაძლებლობის მოლიანად გამოყენებისათვის ბევრი რამ კეთდება მარნეულის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში, რომლებსაც ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაუსახა ამოცანა — ძირფესვიანად გარდაქმნან მეცხოველეობის დარგის განვითარებისადმი მიდგომა, გააუმჯობესონ საკვების წარმოება და ხარისხი.

წლეულს რაიონის პირუტყვის მთელი სულადობის უხეში და წვნიანი საკვებით უზრუნველყოფის მიზნით 124 ჰექტარით მოიმატა საკვები კულტურების ნათესებმა.

სახნავ-სათესის, მდელოებისა და საძოვრების ფართობების ეფექტიანი გამოყენების პირობებში ბევრი მეურნეობა შარშანდელი შესაბამისი პერიოდის ტემპის გასწრებით იმარაგებს საკვებს. მთლიანად რაიონში კი 8 ივნისისათვის დამზადებული იყო 618 ტონა თივა, 12.382 ტონა სენაჟი, 4.247 ტონა სილოსი და 2.536 ტონა ბალახის ფხვნილი. ეს მაჩვენებლები შესაბამისად შარშანდელ დონეს აღემატება 48, 1.294, 2.827 და 306 ტონით.

ეს შედეგები კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, რაიონის ყველა მეურნეობა სრულდ რომ იყენებდეს საკუთარი წარმოების მაღალხარისხოვანი ფურაჟით ფერმის უზრუნველყოფის რეზერვებს. მაგალითად, შარშანდელზე გაცილებით ნაკლები სენაჟი აქვს დამზადებული მეგობრობის საბჭოთა მეურნეობას, ხოლო ამ საკვების მომარაგებას ჭირაც არ შედგომიან ყულარის, ქეშალოსა და მარნეულის ეთერნეთების მეურნეობებში.

ბევრი ხარვეზია ტექნიკის იფექტიანად გამოყენებაში. შეუკეთებლობისა და უხარისხო რემონტის გამო ბალახის ფხვნილის აგრეგატები ცდება მუღანლოს, 26 კომისრის საბჭოების და განახლების საბჭოთა მეურნეობებში. მუღანლოელები ტექნიკის მოცდენის პასუხისმგებლობას აკისრებენ თელეთის ექსპერიმენტული ქარხნის ხელმძღვანელებს, რომლებსაც ხელშეკრულებით უვალდებულებიათ ბალახის ფხვნილის 4 აგრეგატის რემონტი, მაგრამ ამ საქმეს დღემდე ვერ მოაბეს თავი. აქ მაისში 4-დან მხოლოდ ერთი აგრეგატი მუშაობდა.

ზოგან ტექნიკის მთელი ძალით გამოუყენებლობის სხვა ხელშემშლელი მიზეზებიც არის. მაგალითად, განახლების საბჭოთა მეურნეობაში, სადაც 4 აგრეგატი აქვთ, ერთი არ მუშაობს ძრავის უწესივრობის, ერთი კი მუშახელის ნაკლებობის გამო. აქ 5 ივნისს, 4 სათზე ყველა აგრეგატი გაჩერებული იყო. ამის მიზეზად დაგვისახელეს ის, რომ სინესტის გამო მინდვრიდან მწვანე მასა ვერ გამოაქვთ და მუშაობას ეს აფერხებსო. მართლაც, წინა დღეს მარნეულის რაიონში წვიმდა და ეს არგუმენტი მთლად უსაფუძვლო არ არის, მაგრამ მაინც სარწმუნოდ არ მოგვეჩვენა, რადგან სწორედ იმ საათებში მეზობელი გამარჯვების საბჭოთა მეურნეობის მინდვრებიდან შეუფერხებლად გამოჭრილდათ დაქუცმაცებული ბალახი. თუმცა ამ მეურნეობაშიც მწვანე კონვეიერი მანქანების უწესივრობის გამო რიტმულად ვერ მუშაობს. აქ ბალახის ფხვნილის აგრეგატებმა დღეღამეში 60 ტონა პროდუქცია უნდა გამოუშვან, მაგრამ ოცი ტონა ვერ მოიტანეს. ამ მიზეზებს ემატება ის, რომ მეურნეობის 2 ვერმანული „ე-281“ მარკის სათბელი გაფუჭებულია, მხოლოდ 10-15 ტონას აწარმოებენ. ამასთან დაკავშირებით ბალახის ფხვნილიდან 4 აგრეგატის რემონტი, მაგრამ ამ საქმეს დღემდე ვერ მოაბეს თავი. აქ მაისში 4-დან მხოლოდ ერთი აგრეგატი მუშაობდა.

ტექნიკის ეფექტიანი გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი. ეს ანალიზი ბევრ ადგილას ფორმალურ ხასიათს ატარებს. ასეთ ანალიზს ეკისრებოდა ბალახის ფხვნილის ცალკეული აგრეგატების ეფექტიანობის, ტექნიკის ეფექტიანი ექსპლუატაციის, ტექნიკის ეფექტიანი ექსპლუატაციის, ტექნიკის ეფექტიანი ექსპლ

უკანასკნელი
ფაქტები • მოვლენები

აგრომრეწვი: მიმდინარეობს გარდაქმნა

ამ გაზაფხულზე ვანის რაიონში ახალი საწარმოო გაერთიანება შეიქმნა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი კომბინატი დაარქვეს მას სახელად. სახელწოდება საგანგებოს არაფერს ამბობს, ვინ მოთვლის, რამდენი ამნაირი პროფილისა და დანიშნულების საწარმოა ჩვენში, თავად ეს კომბინატი კი რამდენადმე უცნაურად გამოიყურება: მასში გაერთიანებულია ჩაის ფაბრიკა, საკონსერვო ქარხანა და ორიც ღვინის ქარხანა — ერთი მოქმედი დ ერთიც მშენებარე.

სად ჩაი და სად კონსერვი და ღვინოო, იტყვის კაცი. მაგრამ ამ საწარმოოთა გაერთიანება ალალბედზე არ მომხდარა. რაიონის ხელმძღვანელობამ ახალი კომბინატის შექმნა რომ გადაწყვიტა და ამ საქმეში მხარდაჭერა და დახმარება საქართველოს აგროსამრეწველო კომიტეტს სთხოვა, თავის ამ წინადადებას სათანადო დოკუმენტაცია და დასაბუთებაც დაურთო, რომელშიც ნათლად არის ჩამოყალიბებული საწარმოო გაერთიანების შექმნის მიზანი და ამოცანა: ეს უნდა იყოს გამორჩეული საწარმო, რომელიც ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე გამოუშვებს მხოლოდ მაღალი ხარისხის ქართულ ჩაის, ხილბოსტნეულის კონსერვებს, უნიკალურ ღვინოებს და ყურძნის წვენებს, ისეთ პროდუქციას, რომელიც მსოფლიო სტანდარტების დონისა იქნება და შეგვეძლება თამამად, თავმომწონედ წარვუდგინოთ შინაურსაც და უცხოსაც — საექსპორტოდ ვაქციოთ.

საგანგებო და გამორჩეულ პროდუქციას, რაღა თქმა უნდა, ნედლეულიც საგანგებო და გამორჩეული სჭირდება.

მერედა, არის კი ასეთი ნედლეული ვანის რაიონში?

არისო, — გვითხრა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ნოდარ ანდრიაძემ, — არის და სოფლის მეურნეობის მაღალხარისხოვანი პროდუქციის გადამამუშავებელი სპეციალური ექსპერიმენტული საწარმოს შექმნის იდეაც ამ ნიადაგზე დაგვებადაო.

მაინც რით არის გამოსარჩევი აქაური ნედლეული?

ერთიანი სულისკვეთებით

ჩაის, კონსერვს, ღვინოს ერთი გაერთიანება გამოუშვებს

ყურძნით დავიწყოთ. ჩვენში, საქართველოში, მევენახეობისა და მეღვინეობის სამშობლოდ მიჩნეულ ქვეყანაში, ვანი ძველთაგანვე ვაზის ერთ-ერთ ფუძედ და კერად ითვლება, ამის დასტურად მარტო ისიც კი კმარა, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე სწორედ აქ აუგიათ ჩვენს წინაპრებს ვაზის თაყვანსაცემად საკულტო ტაძარი, რომლის ნაშთები ახლახან აღმოაჩინეს არქეოლოგებმა. მეევნახეობა დღესაც ერთ-ერთი წამყვანი დარგია ვანის რაიონში, მაგრამ ვანელ მევენახეებს ყურძნის მოსავალზე უფრო თავი ამით მოაქვთ, რომ მათ გადაარჩინეს და შემოგვინახეს ვაზის ზოგი უნიკალური ჯიში, რომელიც გადაშენების პირს იყო მისული. ეს უწინარეს ყოვლისა ალადასტურზე ითქმის.

ძველად ამ ჯიშის ვაზი ფართოდ იყო გავრცელებული გურიასა და ქვემო იმერეთის მთისწინეთში, კერძოდ, დღეგანდელი ვანის რაიონის მთიანეთში სოფლებში. ძირითადად მას მაღლარად აშენებდნენ და მეტწილად ხეებზე იყო მიშვებული ველურად. გასულ საუკუნეში სოკოვანმა დაავადებებმა და მეტადრე ფილოქსერამ ალადასტურის მაღლარები ერთიანად მოსპო და ყანადგური მთელ საქართველოში. დიდ სამამულო ომამდე ვენახების აღწერის მასალებში ალადასტური საერთოდ არ არის მოხსენიებული, 1953 წლის აღწერის მიხედვით კი მისი მთელი ფართობი 60 ჰექტარს შეადგენდა, აქედან ვანის რაიონში 21 ჰექტარიღა იყო შემორჩენილი, და ისიც პირად მეურნეობათა მფლობელებს ეკუთვნოდათ. მომდევნო წლებშიც ამ ფართობს ბევრი არაფერი შემატებია.

არადა, საცოდაობა იყო ამ ძვირფასი ჯიშის ვაზის გადაშენება, რომლის ყურძნისაგან ისეთი გემრიელი და სურნელოვანი, ცქრიალა წითელი ღვინო დგება, ათასში რომ გამოარჩევ. კიდევ ერთი ძვირფასი თვისება აქვს ალადასტურს, მისი ყურძენი ჭარბტენიან პირობებშიც კი არ ლპება, არ ფუჭდება და შეგიძლია ბევან შემოდგომამდე არ მოკრიფო და მოკრეფის შემდეგაც დიდხანს ინახება. ამიტომ იყო, რომ გურული და ქვემომერელი გლეხკაცის ოჯახში საქმელ ყურძნად ძირითადად ალადასტური იყო მიღებული.

ალადასტურის ჯიშის ვაზის ამ ძვირფას თვისებებზე მხოლოდ ამ ბოლო დროს დაფიქრდნენ სერიოზულად ვანის რაიონის ხელმძღვანელები და ქართული ვაზის მომამაგენი. სოფელ ციხესულორში შეიქმნა სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა, სადაც უკვე რამდენიმე ათეულ ჰექტარზეა გაშენებული ალადასტურის ჯიშის დაბლარი ვენახები. შენდება და 1988 წლის სეზონისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი ღვინის ქარხანა, რომელიც მხოლოდ ალადასტურს და სხვა უნიკალურ ღვინოებს გამოუშვებს.

ვინც მევენახეობა-მეღვინეობის საქმეში ცოტა მაინც ჩახედულია, იცის, რომ, მაღალხარისხოვან, უნიკალურ ღვინოებზე რომ ვლაპარაკობთ, აქ მხოლოდ ჯიში არ იგულისხმება. ღვინის ღირსება კიდევ მრავალ სხვა კომპონენტზეა დამოკიდებული: ვენახის ადგილმდებარეობასა და ნიადაგზე, აგროტექნიკურ სამუშაოთა რეჟიმსა და ხასიათზე, ყურძნის ხარისხსა და შაქრიანობაზე და სხვ. კარგი მეღვინე ღვინის დაყენებისას იმასაც კი გულისხმობს, წლის რა დროს და როგორ ამინდშია ყურძენი მოკრეფილი...

ყოველივე ამის გაუთვალისწინებლად თვით ყველაზე საუკეთესო ჯიშის ვაზისაგან მიღებული ღვინო სრულიადაც ვერ ასახავს ჩვენი ღვინოების რეალურ ღირსებას და მდგომარეობას. თქვენ გგონიათ, რომ „წინანდლის“, „გურჯაანის“, „ქინძმარაულის“, „ხვანჭკარის“ და სხვა ჩვენი სამარკო ღვინოების მასობრივი პროდუქცია რადფენამდე მაინც შეედრება იმ საუკეთესო ნიმუშებს, რომლებმაც თავის დროზე მედლები მიიღეს? გვერდშიც ვერ დაუდგება. ამიტომ ეს მედლები ქართული ღვინის შესაძლებლობებს უფრო ამტკიცებს, ვიდრე ღირსებას. ჩვენი სამარკო ღვინოების მასობრივი გამოშვება ვერ აკმაყოფილებს მსოფლიო სტანდარტებს. მათ უწინარეს ყოვლისა აკლია გამძლეობა, მალე იმღვრევა და კარგად სასაქონლო სახეს. მსოფლიოს საუკეთესო ღვინოებს — ბორდოს, ბურგუნდიულს და სხვებს ოთხი წლის და მეტი ხნის შენახვის გარანტია აქვთ, ჩვენი ღვინო კი ერთი წელიც არ ინახება, ვიდრე მომზმარებლამდე მივიდოდეს, ვერ ინარჩუნებს იმ თვისებებს, რომელიც მარნიდან გამოქყავ. ამის ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ღვინოების ადგილზე ჩამოსხმა არ ხდება. დიდი ჭურჭლით, ბუტეებით ტრანსპორტირებას კი ღვინო ვერ იტანს.

ვანში ალადასტურის ღვინის ქარხნის მშენებლობისას ესეც გათვალისწინეს: ციხესულორის მეურნეობის ზვრებში დაკრეფილი ყურძენი აქ, ამ ქარხანაში, დაიწურება და აქვე ჩამოისხმება. ეს წესი უნდა დაინერგოს ყველგან, სადაც კი ქართული სამარკო ღვინო ჩამოისხმება, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უამისოდ რამე წარმატების მოპოვებისა და ქართული ღვინის ფართო ექსპორტის იმედი არ უნდა გვქონდეს. მსოფლიო ბაზარზე ფასობს არა ის ღვინო, რომელსაც ჩვენ უბრალოდ სამარკოს ვუწოდებთ, არამედ ისეთი, რომლის სერტიფიკატში, საბუთში, საექსპორტოდ გასაგზავნ საკონელს რომ ახლავს, ხარისხისა და ფასის გარდა ზუსტად უნდა იყოს აღნიშნული ვაზის ჯიში, ზვრების ადგილმდებარეობა, სადაც ყურძენი დაიკრიფა, ამასთან აუცილებლად დადასტურებული უნდა იყოს, რომ იგი ადგილზეეე

პრობლემები და განსჯა

გარდაქმნა: ადამიანს — ყურადღების მაქსიმუმი!

საბჭოთა საზოგადოებაში მიმდინარეობს ღრმა სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნათა შეუქცევადი პროცესი. პარტია მტკიცედ დაადგა ქვეყანაში დემოკრატიზმისა და საჯაროობის, მშრომელი მასების სოციალური აქტიურობის ყოველმხრივ გაძლიერების კურსს. ამ მიზნის მისაღწევად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოქალაქეთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობის სრულყოფას.

ამ ახალ ვითარებაში მოქალაქეთა წერილებზე ძველი მეთოდით მუშაობა უკვე შეუძლებელია, რადგანაც მშრომელები დღეს საკუთარი უფლებების დაცვასთან ერთად უფრო მოურიდებლად, მწვავედ და კატეგორიულად აყენებენ წინადადებებს ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობის თაობაზე და სავსებით მართებულად მოითხოვენ უფრო შედეგიან მუშაობას ყველა სფეროში. სწორედ ზოგიერთი სამსახურის ცუდი მუშაობა აიძულებს მათ წერდნენ საჩივრებს უხარისხო მშენებლობაზე, ბინების უკანონოდ გაანაწილებაზე, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ცუდ ორგანიზაციაზე, საცხოვრებელ უბნებში ანტისანიტარიაზე, სახლების ავარიულ მდგომარეობაზე, სამედიცინო მომსახურების, სამართლიანი განხილვის გაჭიანურების გამო და ა. შ.

ბოლო ხანს საბჭოთა ადამიანები უფრო მწვავედ და შეურიგებლად გამოდიან დანაშაულებრივი ელემენტების ასალგამავად. დატაცებები, მექრთამეობა და სხვა დანაშაულობანი სწორედ მშრომელთა წერილების საფუძველზეა გამოვლენილი. დანაშაულობებისა და კანონიერების დარღვევათა მხილების ეს წყარო ჩვენი საზოგადოების განახლების ამ ვითარებაში უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ.

მშრომელთა წერილებზე მუშაობაში სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად რიგი ახალი აღმოჩენა როდინა აუცილებელი. საჭიროა უბრალოდ განხორციელება ამ უბანზე მუშაობის ლენინური პრინციპისა: „საჩივრის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა ზუსტი პასუხი და მყისიერი „ულება“. რამდენი დრო აკარგეს იხარჯება იმის გამო, რომ ეს მოთხოვნა ბევრგან არ სრულდება, ყურადღებით არ ეკიდებიან ადამიანს, გულთან არ მიაქვთ მისი გასაჭირი. დღესაც არაერთგზის აქტუალურად ყღერს ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი ლენინის შეგონება: „თქვენთან შემოვიდა საჩივარი, თხოვნა, წარმოიდგინეთ თავი მომჩივნის ადგილზე. შეეცადეთ გულით და სულით გაიგოთ მისი მდგომარეობა, წარმოიდგინეთ, რომ ეს თქვენ არა გაქვთ ბინა, ეს თქვენ დაიბეგებით ოჯახით უგზო-უკვლოდ და მაშინ თქვენ უფუფად იფოგთ შესაძლებლობას დაეხმაროთ მთხოვნელს“.

პარტიის XXVII ყრილობის შემდეგ თანამდებობის პირები რესპუბლიკაში მეტი ყურადღებით და პასუხისმგებლობით ეკიდებიან მოქალაქეთა საჭიროებებს, უფრო ობიექტურად იღებენ ზომებს მათი დაკმაყოფილებისათვის.

მშრომელთა წერილებზე მუშაობისა და მათი მიღების ორგანიზაციის საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართალდაცვითი ორგანოებისათვის, უბირველეს ყოვლისა პროკურატურისათვის, რომელიც სსრ კავშირის კონსტიტუციის ძალით კანონების შესრულებას უმაღლეს ზედამხედველობას უწევს. პროკურატურის წინაშე დგას ორი ერთარსი ამოცანა: ქმედითი სანარკოკურორო ზედამხედველობა გაუწიოს სამინისტროების, უწყებების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ განცხადებებისა და საჩივრების განხილვას და, მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი — სანიმუშოდ წარმართოს მუშაობა მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის საქმეში თვით პროკურატურის ორგანოებში.

რესპუბლიკის პროკურატურა გულმოდგინედ ეძებს და ნერგავს მშრომელთა მიმართვების შესწავლისადმი კომპლექსური მიდგომის პროგრესულ ფორმებსა და მეთოდებს, როგორც ცენტრალურ აპარატში, ასევე ადგილზე სრულყოფს ამ მუშაობას ახალი, გაზრდილი ამოცანების შესაბამისად.

ეს საკითხი რეგულარულად განიხილება კოლეგიის სხდომებზე, ისახება და ხორციელდება დამატებითი ღონისძიებანი, რათა საჩივრებში დასმული საკითხების გადაწყვეტად მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული სპარკიკურორო რეგიონების საშუალებები.

რესპუბლიკის პროკურატურის ცენტრალურ აპარატში ბევრი რამ ეკეთდება მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციის ძირეულად გარდასაქმნელად. ამას წინათ შეიქმნა სპეციალური სტრუქტურული ქვეგანაყოფი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ამ უბანზე თვისებრივად ახლებური მუშაობა, ღრმა ანალიტიკური საქმიანობა.

უკანასკნელ ხანს განსაკუთრებით ეფექტიანი გამოდგა ისეთი ქმედითი ფორმები, როგორიცაა რესპუბლიკის პროკურატურის ხელმძღვანელების მიერ მშრომელთა მიღება უშუალოდ წარმოებადგზესებულებებში, შეხვედრები შრომითს კოლექტივებთან, რომლებსაც შეუღამაზებელ ინფორმაციას აწვდიან რესპუბლიკაში დამნაშავეობასთან ბრძოლის მდგომარეობაზე, როგორც პოზიტიურ მაჩვენებლებზე, ასევე ნაკლოვანებებზე.

ყოველივე ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა პროკურატურის ორგანოებისადმი მოქალაქეთა მიმართვის რიცხვი. ეს გარემოება, ცხადია, ზრდის ყველა ჩვენგანის პასუხისმგებლობას.

ამჟამად ვცდილობთ მოქალაქეთა განცხადებები და სიგნალები უფრო ოპერატულად და საქმის ცოდნით გამოვიყენოთ იმაში გასარკვევად, თუ სად, რომელ რეგიონში, რომელ უბანზე როგორია მართლწესრიგისა და კანონიერების მდგომარეობა და განვახორციელოთ მიზანსწრაფული ღონისძიებანი ბიუროკრატიზმისა და სამართალდარღვევათა სხვა ხელშემწყობი ფაქტორების აღსაკვეთად.

მრავალი განცხადება და საჩივარი მოწმდება ადგილზე. ხორციელდება აუცილებელი ღონისძიებანი მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღსადგენად. გასულ და მიმდინარე წელს დასაბუთებულად მიიჩნიეს რა, დაკმაყოფილებულია მოქალაქეთა 2700-ზე მეტი საჩივარი.

ჩვენ დღეს ყოველმხრივ ვუჭერთ მხარს იმ მუშაკებს, რომლებიც კომპეტენტურად და გადადებულად მოქმედებენ მოქალაქეთა შეღახული უფლებების აღსადგენად, ყველაზე მეტად ეს ეხება ადამიანებს, ვინც ბოროტად ან ბიუროკრატიულ-ფორმალურ მიდგომას ავლენენ. ასეთ ადამიანებს ეკუთვნიან ლ. დეკვაძის ბინის თაობაზე. ა. ცინცაძის — ქონებრივ დავაზე, აფხაზეთის ასსრ პროკურატურამ დაუსაბუთებლად უარი უთხრა ც. ვაშაძეს სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფაზე, ქ. თბილისის პროკურატურამ — ნ. სოლომკოს და გ. ჯმუხაძეს საბინაო საკითხის მოწესრიგებაზე, ი. ხოლოდოვას — სამუშაოზე აღდგენაზე, ზ. ქობესოვას — ზარალის ანაზღაურებაზე და სხვა. ყველა ეს საჩივარი და მრავალი სხვაც, როგორც საფუძვლიანი, რესპუბლიკურმა ორგანოებმა (დადებითად გადაწყვეტეს.

ხელვაჩაურის რაიონის აღმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა მხრივ სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულების შედეგად აღნიშნული რაიონის მცხოვრები ა. ი. გაბაიძე იძულებული გახდა მისი 6 წლის ვაჟიშვილის მიმართ ჩადენილი ძალადობის საქმეზე ზომებისა მიუღებლობის გამო საჩივრით მიემართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის. საქართველოს სსრ პროკურატურამ ამ საქმის სათანადო შემოწმების შემდეგ ორჯერ ნასამართლევი ტ. ს. ბეჟანიძის მიმართ 1987 წლის 12 იანვარს აღძრა სისხლის სამართლის საქმე და დააპატიმრა ბორტომკმეფილი, რომელიც უკვე მსჯავრდებულია.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: ზემოაღნიშნულ და სხვა ანალოგიურ საჩივრებთან დაკავშირებით ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოთა მუშაკებს მეტი გულისხმიერება რომ გამოეჩინათ, ზედმეტ ნერვიულობას ხომ ავაცილებდით ადამიანებს, რომ არაფერი ეთქვათ იმ დროსა და ენერგიაზე, რესპუბლიკურ ორგანოებში მათი განხილვის დროს რომ დაიხარჯა.

რესპუბლიკის პროკურატურაში კვლავ დიდი რაოდენობით შემოდის საჩივრები აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქ. თბილისის, მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ბოლნისის, დმანისის, მარნეულის და ზოგიერთი სხვა რაიონიდან, ქ. ქუთაისიდან.

ბოლო ხანს ყველაზე მეტი საჩივარი სანინო საკითხების გამო მოდის ბორჯომის, მცხეთის, თელავის რაიონებიდან, რუსთავიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან.

სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე საჩივრებმა იმატა ქარელის, ყასის, ბორჯომის, ქ. თბილისის ლენინის, კიროვის, I მაისის რაიონებიდან.

წონასწორი გამოძიების არაობიექტურად ჩატარების მოტივით ბევრი საჩივარი შემოდის ბოლნისის, გარდაბნის, გორის, ქ. გორის, გურჯაანის, საგარეჯოს, დმანისის და ზოგიერთი სხვა რაიონიდან.

მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-გადაწყვეტაში ყველაზე საშიშ მოვლენად რჩება ისევ ბიუროკრატიზმი, რომელიც ამ ახალ ვითარებაშიც მძლავრადაა ფეხმოკიდებული ძირეულ რგოლებში. ამ საკითხზე, ამას წინათ გაზეთი „იზვესტია“ სავსებით მართებულად წერდა: „რაც უფრო დაბალი თანამდებობა, მით უფრო მეტია ბიუროკრატიზმი, უფრო ადვილია მოხდე მინისტრთან მიღებაზე, ვინემ რაიონის სამინაო სამმართველოს უფროსთან“.

ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც ამაგრებს ბიუროკრატის პოზიციას, ის არის, რომ პრაქტიკულად დღემდე შეუძლებელია იგი საქმის გაჭიანურებისა და ფორმალიზმის გამო პასუხისგებაში მიეცეს.

მართალია, მრავალი მოქალაქისა და თანამდებობის პირის კონფლიქტი შეიძლება სასამართლოს ჩაურთვლადაც გადაწყდეს, მაგრამ იმის რეალური საშუალება, რომ ბიუროკრატს წაეუყენოთ სარჩელი და უზრუნველყოფს მხარდაჭერა, სერიოზული გარანტია იქნებოდა ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად. როგორც ცნობილია, ასეთი კანონი ამჟამად მზადდება.

განცხადებებისა და საჩივრების ავტორებისადმი ადგილებზე ზოგიერთი მუშაკის გულგრილი, ბიუროკრატიული დამოკიდებულებით განაწყენებული მოქალაქე იძულებულია მიმართოს ზემდგომ ორგანოს, და თუ, საშუხარაოდ, იქაც აღმოჩნდება ბიუროკრატიზმის სენით შეპყრობილი მუშაკი, განმცხადებელი იძულებული ხდება მიმართოს პარტიულ ორგანოს, რომლებსაც იმის შედეგად, რომ ძირეულ რგოლში დაკისრებული მოვალეობა შესრულეს დაუდეგრად, უჩნდებათ ზედმეტი საზრუნავი. ეს გარემოება ძლიერ უნდა აწუხებდეს საამართალდაცვითი ორგანოების მუშაკებს.

საქმისადმი სწორედ ასეთი დამოკიდებულება არყევს მშრომელთა რწმენას კანონიერებისა და სოციალური სამართლიანობისადმი, უქმნის ეჭვს, რომ საიმედოდ არ არის დაცული მათი კანონიერი ინტერესები, რაც უარყოფითად მოქმედებს მასების გაწყობილებასა და აქტიურობაზე.

სამართალდაცვითი და ზოგიერთი სხვა ორგანოს მუშაკები რიგ შემთხვევებში არამცთუ მომჩივნონის რაიონიდან, გ. მ. ალიხანაშვილი — გორის რაიონიდან და სხვ.

მიჩნეულია რა, რომ მათს საჩივრებზე მუშაობა ამოწურულია, მიღებულია გადაწყვეტილება მათი მორიგი ანალოგიური საჩივრები დარჩეს ყოველგვარი რეაგირების გარეშე.

საგრძნობლად გააქტიურდა საჩივრებზე მუშაობა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის ხაზით.

რესპუბლიკის პროკურორის ბრძანებით ყველა საჩივარს, რომელიც განაჩენს ეხება, ვერ შეიქმნა „ეფექტიანად“ ... ...

ᲣᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘ ᲙᲐᲢᲐᲠᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲬᲔᲑᲘ

ᲛᲐᲓᲚᲘᲐ, მთიანეთში, ოდესღაც ერთი მთა (ფშეგიმხვა) ჩამოქცეულა, მდინარე (იუფშარა) გადაუხდავს და დიდი (150 პეტარი) ნუნა და ღრმა (100 მეტრი) ტბა გაუჩენია — რიწა!

ტბის ნაპირებს 800 სახეობის მცენარე შეჰფენია. მადლიან მინა-წყალს 27 სახეობის ძუძუმწოვარა, უფრო მეტი ფრინველი და კალმახი უმრავლებია.

და აფხაზეთის მთათა საუფლოში ბუნების საოცარი ჰარმონია დამკვიდრებულა. ამიტომ არის, რომ რიწას ზაფხულობით ყოველდღე საშუალოდ 25 ათასი კაცი აკითხავს!

ბუნების ამ საკვირველი ძეგლნაკრძალის გარშემო ბევრი თქმულა, დაწერილა და დაბეჭდილა, მაგრამ ამჯერად, რამაც კალამი ხელში აგვაღებინა, აფხაზეთის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების მიერ გამოცემული 1987 წლის კედლის კალენდარი გახლავთ რიწის ტბის ფერადი სურათით. როგორც ხედავთ, ამ



სურათის ერთი მესამედი მოტორიან კატარღას უჭირავს, და ეს გასაკვირი არ იქნებოდა, ამ ტბაში კატარღის მუშაობა ორი წლის აკრძალული რომ არ იყოს!

დიახ, კატარღების თხუთმეტი წლის პარპაშმა ლამის დაღუპვის პირას მიიყვანა სწორუპოვარი რიწა და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს საგანგებო დადგენილებით იგი აკრძალეს; აკრძალეს ვინაიდან დილიდან საღამომდე მოგუგუნე „ფლოტილია“ წყალში უხვად ღვრიდა გამომუშავებულ სითხეს, ჰაერში. — გამონაბოლქვ გაზს, გარემოს ფარავდა ჭუჭყით, აფრთხობდა კალმახს, ნადირს და ფრინველს!

ასეა თუ ისე, ეკოლოგიურმა კულტურამ გაიმარჯვა, შეწყდა ტბაში კატარღების გუგნები, დაისახა გარემოს, ფლორისა და ფაუნის დაცვა-გაჯანსაღების ეფექტიანი ღონისძიებანი და უცემ, ასეთი ეკოლოგიური უპასუხისმგებლობა, ანტიეკოლოგიური პროპაგანდა?!

„ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს, როგორც ჩანს, სრულიად მცდარად ესმის რიწის დანიშნულება, მათ მიზნად დაუსახავთ ტბა დასვენების და გართობის ადგილად აქციონ, სინამდვილეში კი რიწა და მისი მიდამოები სახელმწიფო ნაკრძალია და ბუნების ეს უნიკალური ქმნილება მხოლოდ დათვალიერების ობიექტად უნდა დარჩეს, სახელდობრ, უნდა აიკრძალოს ტბაზე მოტორიანი კატარღების მუშაობა; აქ გასეირნება უნდა ხდებოდეს მხოლოდ ნიჩბიანი ნავებით...“

ამ დასკვნას, ამ შეგონებას ხელს აწერს სამი აკადემიკოსი და ოთხი მეცნიერებათა დოქტორი — ვ. გულისაშვილი, თ. დავითაია, ნ. კეცხოველი, ი. ჩხენკელი, გ. გვეალესიანი, დ. უკლება, ვ. ჯაოშვილი, და გამოქვეყნებულია გაზეთ „კომუნისტში“ 1976 წლის 23 დეკემბერს, სათაურით „ავაცილოთ რიწას საფრთხე!“.

იქნებ თავი იმართლონ ზემოხსენებული გაერთიანების მესვეურებმა, ჩვენ ახლები ვართ, ათი წლის წინანდელი საგანგაშო წერილის არსებობა არც კი ვიცოდით. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რა ვუყოთ „აფსნი ყაფშის“, „საბჭოთა აფხაზეთის“ და „სოვეტსკაია აფხაზიას“ უთვალავ პუბლიკაციას, რომლებიც იგივეს მოითხოვდნენ და ბოლოს აუწყეს კიდეც თავის მკითხველებს ამ მოთხოვნათა დასტური — მთავრობის დადგენილება!

მოტორიანი თუ დიზელიანი ძრავების პროპაგანდის ნაცვლად, რიწას რომ უფრო დაშვენდება — აფრიანი და ნიჩბიანი ნავები ხომ არ დგგეხატა ღია ბარათზე, სუვენირზე და თუნდაც კალენდარზე? კოლხეთს და იბერიას ხომ ოდითგანვე სერავდნენ ნუშა, ვარცლი, კოპანო, კარაპა, კარჭაპა, ხუმალდი, ქარაფითან, სანდალი, ორხომელი თუ ოლეჭკანდერი (სულხან-საბა ორბელიანი).

და მარტო დაგვეხატა კი არა, ჩაგვეშვა კიდეც! ძველებურ ნავთა სიკეთეს — ეკოლოგიური თვალსაზრისით წმინდა საქმეს, წყალსაჯომარდო თამაშობანი თუ დავეტა, ვთქვათ, თბილისის წყალსაცავის, სარფის, ფოთის თუ ბიჭვინთის მსგავსად ოქროს საწმისის გატაცების ინსცენირება, გწამდეთ სტუმარ-მასპინძელს, ანუ 25 ათას კაცს, რიწას ყოველდღე რომ აკითხავს, უკეთ გავაცნობთ ჩვენს ისტორიას და კულტურას, ვიდრე დღეს ამას წვრილ-წვრილი სავაჭრო წერტილი, სამწვადეები და ფაცხა-რესტორნები აკეთებენ, ხშირად უწესრიგობითა და ანტიესთეტარიით რომ აქარწყლებენ ულამაზესი ბუნების ძეგლის ნიღვთი მიღებულ ესთეტიკურ შთაბეჭდილებას!

რიწის ნაკრძალს 30 წელი უსრულდება. ბუნებრივია, ფართო საზოგადოებრობას სურს მეტი იცოდეს ამ უნიკალური მთის ტბის, მისი მცენარეული საფრისა და ცხოველთა სამყაროს შესახებ. არადა, გასაკეთებელი, საშური საქმე აქ დღესაც ბევრია, ამის დასტურია მწვავე წერილები, ადგილობრივ, რესპუბლიკურ თუ საკავშირო პრესაში რომ ქვეყნდება.

ᲒᲕᲐᲜᲯᲘ ᲛᲐᲜᲘᲐ.

ᲛᲐᲥᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲛᲝᲔᲬᲝᲜᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ

ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘᲡ სახელმწიფო თეატრმა ქართულ სცენას კვლავ დაუბრუნა მსოფლიო დრამატურგიის ერთ-ერთი შედევრი — მოლიერის „გაუზნაურებული მდაბიო“. ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა მოლიერის დრამატურგიამ ქართული თეატრის განვითარებაში. საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ ქართული კომედიოგრაფები (გიორგი ერისთავი, ავქსენტი ცაგარელი და სხვა) თავს ფრანგი დრამატურგის პირდაპირ შთამომავლებად თვლიდნენ, ხოლო მსახიობთა არაერთმა თაობამ მოლიერის პერსონაჟთა სცენური ხორცშესხმის შესანიშნავი ტრადიცია შექმნა. ქართულ სცენაზე ხშირად ამეტყველებული „სკაპენის ონინები“, „ეჭვით ავადმყოფი“, „ჟორჟ დანდენი“, „ტარტიუფი“ და „დონ ჟუანი“. „გაუზნაურებული მდაბიო“ პირველად კოტე მარჯანიშვილმა დადგა 1924 წელს რუსთაველის თეატრში. მეორე დადგმა (რუსთაველის თეატრი, რეჟისორი გ. ჟორდანია) 1969 წლით თარიღდება.

ამგვარად, მესხეთის სახელმწიფო თეატრმა მოლიერის კომედიის მესამე სასცენო ვარიანტი შესთავაზა მაყურებელს. რეჟისორმა თამილა პატაშურმა სპექტაკლი კლასიცისტური თეატრის კანონების თანახმად გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ „გაუზნაურებული მდაბიო“ „კომედია-ბალეტის ჟანრშია დაწერილი. რეჟისორმა შეინარჩუნა ამ ძველი და უჩვეულო ჟანრისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისება. მან გარეგნული ეფექტურობა და ბრწყინვალება არ მოაკლო სპექტაკლს, მაგრამ მოქმედება გაშალა ისე, რომ ბალეტი, პანტომიმა და ინტერმედიაც სიუჟეტის და კომიკური ინტრიგის ორგანულ ნაწილად იქცა და მოქმედ პირთა ხასიათის გახსნას დაემორჩილა.

რეჟისორის ჩანაფიქრი მსახიობებმაც გაიზიარეს. რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ო. რეხვიაშვილის მიერ განსახიერებული ჟურდენი საუკუნეებს გადარჩენილ იმ მარად ცოცხალ პერსონაჟად მოგვეელინა, რომელმაც ყამთა სიავეს. მოჩვენებითი მიამიტობით და მდაბიური ეშმაკობით აჯობა XX საუკუნის დასასრულს მაყურებელს ამაყად განუცხადა: ჟურდენები კვლავ არსებობენ და მზის ქვეშ დაუმსახურებელ ადგილს ითხოვენენ. ასევე ტრადიციულ-კლასიცისტური ხერხებით არის გადაწყვეტილი სხვა პერსონაჟთა სახეებიც. ქალბატონი ჟურდენი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. სულუაშვილი) კომიკური სიანჩხლითა და საღი გონებით ხიბლავს მაყურებელს, ხოლო დორანტი (საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი ო. აწყურელი) და დორიმენა (ლ. მახანაშვილი) თავიანთი ქედმაღლობით, სიხარბითა და შინაგანი სიყალბით საზოგადოებრიობისათვის უფრო მეტი ზიანის მომტანნი ჩანან, ვიდრე ბავშვივით გულუბრყვილო ჟურდენი.

კლასიცისტური თეატრისათვის დამახასიათებელი ტრიუკებით სავსეა მსახურების — ნიკოლისა და კოვიელის დუეტი (მ. ბერიძე და გ. გუგუშვილი). ფილოსოფიის (ზ. მინდიკიურის), მუსიკის (რ. ბარბაქაძე), ცეკვის (ს. შელაძე), ფარიკაობის (რ. ხატიძე) მასწავლებელთა შემსრულებლებმა იმ ეპი-მეცნიერთა კრებითი სახე შექმნეს, რომლებიც თავიანთ უმეცრებას ‘მოხერხებულად ფარავენ და მეცნიერების ალაფი სამსახურის ნაცვლად მოგებასა და პატივს ითხოვენ.

ტრადიციულად გადაწყვეტილი სპექტაკლის ერთიანობას არც მხატვრული გაფორმება არღვევს. სიმეტრიულად აგებული სტილიზებული დეკორაცია სცენის სიღრმისაკენ მიისწრაფის და კლასიცისტური თეატრის სცენისათვის დამახასიათებელი კიბით გვირგვინდება. კიბის თავს ასევე სტილიზებული კარი და სცენურ სივრცეში ასხლეტილი კომედიის მფარველი ორი მუზა ამშვენებს. მუზებს ხელში უმარმაზარი ბანქოს ქაღალდი დაუჭერიათ, თითქოს მაყურებელსაც სათამაშოდ ეპატიჟებიანო. მაყურებელი მართლაც იხიბლება წარმოდგენით, რომელსაც კომედია-ბალეტი ჰქვია და, რომელიც ჯერ კიდევ XVII საუკუნეში შემოგვთავაზა სცენის გენიალურმა ოსტატმა ჟან ბატისტ მოლიერმა.

Ი. ᲦᲝᲚᲝᲒᲘᲠᲘᲫᲔ,
ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲛᲪᲝᲛᲓᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ.

ᲛᲔᲓᲚᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲜᲔᲜ

ᲙᲝᲠᲔᲘᲡ სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან მედლებით დაბრუნდნენ ქართველი ძიუდოისტები აკაკი კიბორძალიძე, გიორგი თენაძე და ვახტანგ ჯაფარიძე. სხვა ძიუდოისტებთან ერთად ისინი საბჭოთა ნაკრების ღირსებას იცავდნენ და საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ. ქუთაისელმა კიბორძალიძემ აბსოლუტურ კატეგორიაში პირველი ადგილი მოიპოვა, მძიმე წონის ძიუდოისტთა შორის კი მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. თბილისელმა თენაძემ 71 კგ-მდე წონითს კატეგორიაში იმარჯვა, ყველა მეტოქე დაამარცხა და ცხადია, ოქროს მედალს დაეუფლა. მისი თანამოკალაქე ჯაფარიძე (65 კგ-მდე წონა) მესამე ადგილზე გამოვიდა.

* * *

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ გაიმართა მოსწავლე ძიუდოისტთა საერთაშორისო გუნდური შეჯიბრება, რომელშიც იასპარეზეს უნგრეთის სამმა ნაკრებმა, აგრეთვე საქართველოს და ავსტრიის კოლექტივებმა. ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებმა დაამარცხა უნგრეთის მესამე გუნდი (7:0), შემდეგ ავსტრიელთა ნაკრები (6:0), აგრეთვე უნგრეთის პირველი და მეორე გუნდები (შესაბამისად 7:0 და 6:1). ამრიგად გუნდური გამარჯვება მოიპოვა საქართველოს ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ახმეტელები ბ. სარქისაშვილი და ზ. სამუკაშვილი, საგარეჯოელი გ. კირკოზაშვილი, გორელები ბ. გიორგაშვილი, მ. თურმანიძე და ნ. ჯალაბაძე, რუსთაველი ვ. ავალიანი და ზესტაფონელი გ. გაჩეჩილაძე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის მეზუთე ტურში ვერც ერთმა ლიდერმა ვერ გაიმარჯვა. ჯანჯღავამ შავებით უარესი პოზიცია მიიღო და დამარცხდა გედეკანიშვილთან. ეს მისი პირველი წაგებაა. გიორგაძემ, რომელიც ასევე შავებით თამაშობდა, უარეს პოზიციაში გადადო პარტია გაფრინდაშვილთან. ფალეტორუმმა თეთრებით ყინვით დაასრულა შეხვედრა ტაბატაძესთან. სხვა შეხვედრებში სტურუამ მოუგო ჩაჩიბაიას, ხეცურიანმა — შალამბერიძეს, ეფიმოვმა — კრასენკოვს, ტყებუჩავა და მანაგაძე კი ყაიმზე შეთანხმდნენ.

გადადებული პარტიების დამთავრებისას შალამბერიძე ყაიმზე შეუთანხმდა ტყებუჩავას, ხოლო მანაგაძე — გაფრინდაშვილს.

5 ტურის შემდეგ ვერც ერთმა მონაწილემ ვერ შეძლო საგრძნობლად ჩამოეტოვებინა მეტოქეები, რაც ბრძოლის დიდ სიმწვავეზე მიუთითებს. ახლა ჯანჯღავასა და ბაღათუროვს 3,5-3,5 ქულა აქვთ, გიორგაძეს კი 3 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ᲡᲐᲥᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲤᲔᲮᲑᲖᲐᲠᲗᲘ. გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეცამეტე ტურის კიდევ რამდენიმე მატჩი. შედეგები ასეთია: თბილისის „დინამო“-„დნეპრი“ — 0:2, „გურია“-„შახტიორი“ — 0:2, „სპარტაკი“-„ზენიტი“ — 1:3, „ნეფთჩი“-„ცსკა“ — 1:1. წინა დღეს გამართული კიევის „დინამოსა“ და „ყაირათის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურის შემდეგ ლიდერთა ოთხეულში არიან: ოდესის „ჩერნომორეცი“ — 25 ქულა, მოსკოვის „ლოკომოტივი“ — 21, ნოვოკოპლის „კოლოსი“ და რიგის „დაუგავა“ — 18-18. ამ ასპარეზობაში მონაწილე ჩვენი რესპუბლიკის გუნდებს ქუთაისის „ტორპედოს“ და ბათუმის „დინამოს“ შესაბამისად 11 და 9 ქულა აქვთ. ქუთაისელები მეცხრამეტე ადგილზე არიან, ბათუმელები — ბოლო, ოცდამეორეზე.

რიგბი. უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები, რომლებშიც ჩვენი რესპუბლიკის გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა, ასეთი შედეგებით აღინიშნა: მოსკოვის „ფილი“-ქუთაისის „მშენებელი“ — 18:3, სამხედრო-საპაჟრო აკადემიის გუნდი-თბილისის „ლოკომოტივი“ — 6:6, მოსკოვის „ლოკომოტივი“-თბილისის „შევარდენი“ — 10:9.

ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲑᲐᲚᲘ. ვილნიუსში გაიმართა საკავშირო თასის გათამაშების საწყისი ეტაპის მატჩები. აქ თბილისის „დინამომ“ წარმატებით იასპარეზა: დაამარცხა ტაშკენტის „მეზნატი“ — 10:6, კაუნასის „ბანგა“ — 13:11, ლენინგრადის „ბალტიკა“ — 9:7, თბილისის ასკ — 13:6, მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდთან შეხვედრა კი წააგო — 4:7. თბილისელებმა ნახევარფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის საგზური მოიპოვეს. ამ ეტაპის მატჩები მოეწყობა ოქტომბერში (თბილისში).

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. საბერძნეთში მიმდინარე ვაჟთა გუნდებს შორის ევროპის ჩემპიონატზე კიდევ ორი ნახევარფინალისტი გამოვლინდა. ესენი არიან საბერძნეთისა და იუგოსლავიის გუნდები. მეოთხედფინალში ბერძნებმა დაამარცხეს იტალიელები (90:78), იუგოსლავებმა — პოლონელები (128:81). დღეს გაიმართება ნახევარფინალური მატჩები. საბჭოთა კალათბურთელების მეტოქეები იქნებიან ესპანელები, ბერძნებისა — იუგოსლავები.

რედაქტორი
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲚᲐᲕᲕᲐᲪ ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲘᲗ ᲘᲚᲕᲬᲜᲘᲡ

ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ჩვენგანს, განსაკუთრებით კი უფროსი და საშუალო თაობის მსმენელს, კარგად ახსოვს შესანიშნავი ვოკალური დუეტი: ციცინო ციცქიშვილი და ეთერ გვაზავა...

ჯერ კიდევ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი იყო ც. ციცქიშვილი, საოპერო თეატრის დასში რომ ჩარიცხეს. ეს იყო 1949 წელს. მსმენელს მოსწონდა მისი ლაღა (ჩაიკოვსკის „იოლანტა“), გიგი (ბუკიას „დაუპატიჟებელი სტუმრები“), ოლგა (რიმსკი-კორსაკოვის „მეფის საცოლე“), დედოფალი (ჩაიკოვსკის „ბოშები“), მაგრამ

ᲕᲝᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

ᲒᲐᲗᲣᲗᲘᲗ მენავთობეთა კულტურის სახლში ვოკალური მუსიკის მოყვარულნი ინტერესით გაეცნენ ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგის, აკადემიკოსი ნინა ფალიაშვილის ულამაზესი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მურმან მახარაძის შემოქმედებით საღამოში მონაწილე მომღერლების — მის აღზრდილთა და აღსაზრდელთა ხელოვნებას.

მ. მახარაძე თავის პედაგოგთაგან უწინარესად უშუალო აღმზრდელს პროფესორ გ. გოგიჩაძეს ემადლიერება. სასიამოვნო პედაგოგიკის ბევრი საიდუმლოება მან პროფესორ ნ. ანდღულაძის დახმარებით შეიცნო. წინა დღით ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში გამართულ ღია გაკვეთილზე და შემოქმედებით საღამოზე, რომელიც სასწავლებლის დირექტორმა ი. ბარდანაშვილმა გახსნა, ნ. ანდღულაძე მსმენელთ ესაუბრა ეროვნული ვოკალური ხელოვნების წინაშე მ. მახარაძის დამსახურებაზე.

შემოქმედებით საღამოში, რომელიც მურმან მახარაძის დაბადების 50 წლისთავს მიეძღვნა, მონაწილეობდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები, საქართველოს სახალხო არტისტები ალ. ხომერიკი და ჯ. მდივანი, ქუთაისის საოპერო თეატრის სოლისტი გ. გოგუა, თბილისის საოპერო სტუდიის სოლისტები მ. ჯახუტაშვილი და ნ. ვარშანიძე, კონსერვატორიის სტუდენტები ნ. გვარჯალაძე, ჯ. დიასამიძე, ა. ქავთარაძე, ა. მამალაძე, აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ტ. დუგლაძის დირიჟორობით, სამუსიკო სასწავლებლის კამერული გუნდი ზ. ვადაჭკორიას დირიჟორობით და სხვები. დახვეწილი გემოვნებით გამოირჩეოდა სასწავლებლის პედაგოგების ვ. გაბაისა და ლ. ჭელიძის საფორტეპიანო თანხლება.

კონცერტზე შესრულდა ვერდის, დონიცეტის, ბელინის, დებიუსის, პუჩინის, ჩაიკოვსკის, რიმსკი-კორსაკოვის, რუბინშტეინის, ფალიაშვილის, არაყიშვილის, მშველიძის, თაქთაქიშვილის რომანსები, სიმღერები, საოპერო არიები და დუეტები.

ამ დღეებში აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მურმან მახარაძეს აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

ᲐᲚ. ᲛᲡᲮᲚᲐᲚᲐᲫᲔ,
აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დოცენტი.

ᲒᲕᲔᲡᲢᲣᲛᲠᲐ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ დრამატულ თეატრს, რომელიც რ. უაფლანიანმა დაარსა, კარგად იცნობენ თბილისელები. ახლა ამ თეატრის მთავარი რეჟისორი ა. ხანდაკიანია.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მეგობრობის თეატრის“ მოწვევით ეს კოლექტივი კვლავ ჩვენს დედაქალაქში. საგასტროლოდ დასმა ორი სპექტაკლი ჩამოიტანა: გ. გორინის „დავივიწყოთ პეროსტრატე“ და ხ. სტრატიევის „ავტობუსი“.

გასტროლები გ. გორინის ორმოქმედებიანი ტრაგიკომედიით დაიწყო გრიბოედოვის სახელობის დრამატულ თეატრში. სპექტაკლის დამდგმელია ა. ხანდაკიანი, მხატვარი — ე. საფრონოვი (სომხეთის სსრ დამსახურებული მხატვარი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი), მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის ფ. არამიანს.

სუბპოზე: სპექტაკლის „დავივიწყოთ პეროსტრატე“ სცენა — კლემენტინა — ა. თოფჩიანი (სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი), პეროსტრატე — ვლ. მხრიანი (სომხეთის სსრ სახალხო არტისტი, სომხეთის სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი).

Ჯ. ᲚᲝᲛᲯᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

„ᲒᲐᲘᲦᲘᲛᲔ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ!..“

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲕᲘᲢᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ, ᲐᲑᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ-ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲓᲦᲔᲡ თბილისში ხუთი ათასამდე მხატვარი, არქიტექტორი, დიზაინერი ცხოვრობს და მოღვაწეობს, ქალაქი კი ჯერაც ელოდება „თავის მხატვარს“. ელოდება მხატვარ-პატრიოტს, რომელიც თავის ნიჭს, გემოვნებას და გარჯას უშურველად გაიღებს ქალაქის გასამშვენიერებლად, ახლებურად აამეტყველებს ვიტრინებს, აბრებს, ფასადებს, რომ უფრო ღიმილიანი გახდეს ჩვენი დედაქალაქი.

„გაიღიმე, თბილისო!“ — ასე ჰქვია თბილისის საქალაქო საბჭოს მიერ გამოცხადებულ კონკურსს, რომელიც დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს ეძღვნება. კონკურსის მიზანია უფრო გალამაზდეს ქალაქის ქუჩები და შენობები. მასში მონაწილეობა შეუძლია ყველას — პროფესიონალსა თუ მოყვარულს. გამარჯვებული მიიღებს ფულად პრემიას და ავტომანქანა „ეიგულის“ ურიგოდ შეძენის უფლებას.

დაწესებულია ოცდაათამდე პრიზი, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო კონკურსის მონაწილეთათვის და ჩვენთვის — თბილისელთათვის, უფრო შნოიანი, ფერადოვანი აბრებითა და ორიგინალური ვიტრინებით ამეტყველებული, ნაგებობათა მიმზიდველი ფასადებით დამშვენებული მშობლიური ქალაქი იქნება.

საკონკურსო ობიექტების მაღალმხატვრულად გაფორმებული საესკიზო პროექტები შესაბამისი მონაცემებით (გეგმა, ფასადი და სხვა) ქალაქის მთავარი მხატვრის აპარატს წინასწარი შეთანხმებისათვის უნდა ჩაბარდეს წლევანდელ 1 ივლისამდე.

პროექტთა მიღების დღეებია: ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი 11-დან 13 საათამდე. მისამართია: ლენინის 1 შესახვევი, 33. I სადარბაზო, V სართული.

შეთანხმებული პროექტების მიხედვით სამუშაოები უნდა განხორციელდეს წლევანდელ 1 ოქტომბრამდე.

თბილისის საქალაქო საბჭო, საქართველოს სარკალმო საგანგებო.

ᲡᲢᲐᲢᲘᲙᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲔᲛᲘᲙᲜᲔᲑᲘ

ᲐᲕᲓᲠᲘᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲝᲓ

ᲝᲜᲘ. ბუნებამ კვლავ გამოავლინა თავისი ჭირვეული ხასიათი — რაიონში რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში კოკისპირულად წვიმდა. ადიდდა მდინარეები, რომლებშიც წყალმა ბევრჯერ გადაუარა კრიზისულ დონეს.

ასეთი დიდი წყალდიდობა აქ არ ახსოვთ უკანასკნელი 20-30 წლის მანძილზე. აბობოქრებული ჯეჯორა, საკაურა, ჭალული, ღარული, რიონი ყველაფერს ნთქავდა თავის გზაზე. ქალაქის მიდამოებში მათ დაანგრიეს ას მეტრზე მეტი ნაპირსაცავი ჯებირები, წალეკეს სოფლტაწმიკის შენობა, ავტოგასაწყობი სადგური, სხვა სამეურნეო და საწარმოო ნაგებობები. წალეკილია ორი კილომეტრი საავტომობილო გზა, დარღვეულია ელექტრომომარაგების ხაზები. ქალაქში 150 მეტრზე წახდა ცენტრალური წყალსადენის ხაზი. მეწყრების გამო გახიზნეს ოთხი ოჯახი.

ამჟამად სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლის ოპერატიულმა შტაბმა აღდგენითი სამუშაოები გააჩაღა, მობილიზებულია ტექნიკა, მოაქვთ საჭირო საშენი მასალა. უკვე აღდგენილია კავშირი ბევრ სოფელთან.

ᲯᲐᲕᲐ. ტრანსკავკასიის მაგისტრალზე მოძრაობის გახსნა სულ რამდენიმე დღის საქმე იყო, მაგრამ სტიქიამ თავისი კორექტივები შეიტანა. ადიდებულმა დიდმა ლიახვმა, რომლის დონემ თითქმის 4 მეტრით მოიმატა, რამდენიმე ადგილას მოლიანად წალეკა ას მეტრზე მეტი გზა.

ნიაღვარმა რაიონული ცენტრის მარცხენა სანაპიროს შეუტია, გადალახა ნაპირსაცავი ნაგებობანი და სამოცდაათი ოჯახის სახლებს უწია. ამჟამად ისინი სასწრაფოდ გახიზნეს. ძლიერ დაზიანდა ხიდები, წყალი კვლავ უტევს ბურჯებს.

განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა მაღაროელთა დაბა კვაისში, სადაც მდინარე ჯეჯორამ მთლიანად წალეკა ხიდი, მუშები მოწყვიტა გორ-ცხინვალ-ონის საავტომობილო გზას. ამის შედეგად შეწყდა კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროსამმართველოდან პროდუქციის გაზიდვა. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზების მდგომარეობა, რომელთა დაზიანების შედეგად შეიძლება შეჩერდეს ტუმბოები, შახტებიდან გრუნტის წყლებს რომ ტუმბავენ. ამიტომ უკვე ახლა მობილიზებულია მთელი ტექნიკა, ყველაფერი იღონეს, რათა საჭიროების შემთხვევაში რაც შეიძლება მალე უზრუნველყონ ავტონომიური ენერგომომარაგება.

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. სტიქიამ არც ამბროლაურის რაიონი დაინდო. ყოკისპირულმა წვიმებმა ძლიერ გაზარდა მდინარეების დონე, რომელმაც კრიზისულს მიაღწია; დატბორილია ყველ-ყარაჭის ქარხანა, მეურნეობათა მეცხოველეობის ფერმები.

რაიონის მშრომელებმა ყველაფერი იღონეს, რათა მინიმუმამდე შეემცირებინათ დანაკარგები. დროულად მიიყვანეს ტექნიკა, რამაც საშუალება მისცათ უაღრესად შეშფოთებულ კვადებში აეგოთ მწყრი ჯებირი, შეეცავლათ მდინარის კალაპოტი. იძულებული გახდნენ გაეხიზნათ ხუთი ოჯახი.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ. სტიქიამ საგანგაშო მდგომარეობა შექმნა ლენინეხის რაიონშიც, სადაც 9-10 ივნისს ცხინისწყალმა რამდენიმე ადგილზე გადარეცხა ლენინეხისაკენ მიმავალი საავტომობილო გზა და რაიონულ ცენტრი მოსწყვიტა გარე სამყაროს. აბობოქრებული მდინარე შეიჭრა რაიონულ ცენტრში და მწყობრიდან გამოიყვანა საინჟინრო კომუნიკაციები, შეწყდა სასმელი წყლის მიწოდება, დაირღვა სატელეფონო კავშირი სოფლებთან, საფრთხე ექმნება ცაგერის მხრიდან შემოსასვლელში მდებარე ხიდს, სოფელ ლასკადურას, საიდანაც უკვე გაყვანილია რამდენიმე ოჯახი. სამწუხაროდ დაიღუპა სამი კაცი.

ამ მძიმე მდგომარეობაში ადამიანები არ შედრკნენ. ყველგან მობილიზებულად მიმდინარეობს მაშველი სამუშაოები, იწმინდება ან ხელახლა გაჰყავთ გზები, მუშაობა გრძელდება წყალსადენისა და კავშირგაბმულობის ელექტროგადამცემი ხაზების აღსადგენად.

ამ ცნობების აღება პარტიის ლენინეხის რაიონული კომიტეტიდან მხოლოდ რადიოკავშირის მეშვეობით შეეძლოთ.

სამწუხაროდ, ჩვენ კვლავ ვერ მოვახერხეთ რაიონულ ცენტრში ჩასვლა. გაუვალი ღრუბლებისა და ცუდი ხილვადობის გამო ვერტფრინავის ეკიპაჟი ამჯერადაც ხელმოცარული დაეშვა ქუთაისის აეროპორტში. უშედეგო გამოდგა ჩვენი ცდა სოფელ ორღობეში მაინც მიგვეღწია ლენინეხამდე. მდინარის დამანგრეველმა ენერგიამ მურის ხიდს იქით მთლიანად დაანგრია ლენინეხისაკენ მიმავალი მოსასფალტებული გზა. (**ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ**).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

12 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 9.40 — მხატვრული ფილმი „მუსიკალური ამბავი“. 11.00 და 17.00 — ახალი ამბები. 17.15 — ჯეკ ლონდონის გმირები ეკრანზე. „დრო არ იცდის“. I სერია. 18.30 — ახალი ამბები. 18.35 — რუსული მუზეუმი. „რუსული გრაფიკა“. 19.00 — მეცნიერება და ცხოვრება. 19.30 — დღეს მსოფლიოში. 19.45 — დოკუმენტური ტელეფილმი „ჭეშმარიტების ფასი“. ნაციონალისტური ემიგრანტული ცენტრების პროვოკაციული საქმიანობის შესახებ, რომლებსაც ამერიკის შეერ